ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5713131

ნომერი: AR1865141

თარიღი : 30.11.2021

გაცემის თარიღი : 06.12.2021

გაცნობის თარიღი : 06.12.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა ახვლედიანი პ/ნ 01005009901
- უნივერსიტეტის ქუჩა 24

ორგანიზაცია:
- შპს "ჩემი სახლი" კოდი: 400119073

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს."ჩემი სახლი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400119073
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გუსეინ ნადიროვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: c00497197

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 11837.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 470.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1530.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1500.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 30.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.3

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. ,,განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ გრაფაში მიუთითეთ ორივე ნაკვეთის საკადასტრო კოდი, რისთვისაც უნდა ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით.

2. წარმოადგინეთ ახალ საკადასტრო საზღვრებზე დამუშავებული დემონტაჟის პროექტი.
დემონტაჟის ორგანიზების პროექტთან ერთად დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს დემონტაჟის ორგანიზების პროექტის საექსპერტო შეფასება.

3. წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში, სადემონტაჟო მოედნის 10 მეტრის რადიუსში, რომელიც მოიცავს,
ა) მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაციას და მათზე დაგეგმილი სადემონტაჟო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედების ხარისხს;
ბ) საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც ასევე აისახება დემონტაჟის ორგანიზების პროექტში. დასკვნა უნდა იყოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები; იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება დემონტაჟის პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები; გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

4. წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის იპოთეკარის მიერ გაცემული თანხმობა დემონტაჟის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად). ასევე, გაითვალისიწინეთ, წარმოდგენილი მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრამდე. ამ თარიღის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციული წარმოების გაგრძლების შემთხვევაში, საჭირო იქნება განახლებული მინდობილობის წარმოდგენა.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.